ცნობის ფურცელი

№ 2289 შაბათი, 11 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2289

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 7 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 12 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ორი ჯიბგირი

პიესა 5 მოქმ. და 7 სურ. თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ავლაბრის ახალი თეატრი

შაბათს, 11 ოქტომბერს, 1903 წელს ავლაბრის ახალ თეატრში

დაკლებულის ფასებით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომ. 5 მოქმ. შექსპირისა, თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ნ. ყიფიანისა; ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი **აკაკი**.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 11 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ოპრიჩნიკი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: რენე-რადინა, სელიუკ-რაზნატოვსკაია, ლელინა და სხვანი; ბ-ნნი: ფიგნერი, გლადკოვი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 12 ოქტომბერს—პაიაცი, ლეონკოვალო და ბალეტი „გლეხთა ქორწილი“. 13 ოქტომბ. იაფ-ფას. წარმ. „ტრავიატა“ ვერდისა. მზადდება წარმ. „ფრანჩესკა და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ხიდის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

დამყნილი სანერგე
ამერიკული ვაზისა

ამით ვაცხადებ, რომ მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ ამ თავითვე ნამყენები და აგრეთვე მიიღონ დაბეჭდილი ცნობები სანერგის შესახებ.

ადრესი: **Квирилы, Георгію Михайловичу Чивадзе** (10—1718—7)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

—

იაპონია. მოხდება ომი შორეულ-აღმოსავლეთში, თუ არა?—ჰკითხულობს ყველა. ზოგი ამბობს, შორეულ-აღმოსავლეთში შავი ღრუბლები გაიფანტა, ცამ მოიწმინდა, ჩრდილოეთის ბუმბერაზი და „აღმოსავლეთის ციკარი“ მშვიდობიანად, დიპლომატიურად მორიგდებიანო. ზოგს კი ბეჯითად სწამს, რომ ამ ორ მძლავრ მეტოქის საქმე უომრად არ გადასწყდება, უსათუოდ დაეტაკებიან ერთმანეთს და თავიანთ დავას ბრძოლის ველზე ზარბაზნითა და თოფით გადასწყვეტენო. სხვა არა იყოს-რა, იაპონელებს გული და ღონე ერჩისთ, უნდათ, რომ თავიანთ შნოება, გულადობა, მომზადება მთელს ქვეყნიერობას დაანახვონო. „ინდეპენდან ბელჟ“-ი სწერს: იაპონელებს გულით სწადიანთ, რომ დიდ სახელმწიფოს შეებრძოლონ და თავიანთ ძალა სცადონ. ეს წადილი ადვილი გასაგებია. იაპონელები სწრაფად მოეწივნენ განათლებულ ერებს და ეხლა უნდათ, თავიანთ თავიცა და სხვა ერებიც დაარწმუნონ, რომ იაპონია ყველაფერში გაუსწორდა განათლებულ სახელმწიფოებსაო.

ინგლისელებიც ბეჯითად არწმუნებენ იაპონელებს, უსათუოდ დიდ ომში უნდა მოინათლოთ თავიო. ჩინელებზე გამარჯვება არა კმარა, ჩინეთი თქვენი საკადრისი, თქვენი ტოლი მოპირდაპირე არ იყო, უსათუოდ იმისთანა ძლიერ, პირველ ხარისხოვან, მეომარ სახელმწიფოს უნდა ეომოთ, როგორიც რუსეთიაო. რუსეთს შეებით, დაამარცხეთ და მაშინ ალალი იქნება თქვენზე დიდის სახელმწიფოს სახელიო.

ინგლისური გაზ. „დეილი პოსტ“-ი შორეულ აღმოსავლეთის საქმეზე სწერს: „იაპონიამ კორეიაში ერთის ფეხის დადგმა ადგილიც არ უნდა დაუთმოს რუსეთს. თუ დაუთმო რამე, იაპონიის ინტერესებს დიდი ზარალი მიეცემა. ჯერ დიპლომატიურად უნდა ეცადოს და თავისი გაიყვანოს და თუ, ვინიცობაა, მშვიდობიანად ვერას გახდა, მეტი ჩარა არ არის, უსათუოდ უნდა იომოს“.

რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკებაზე ამერიკული გაზ. „ნიუ-იორკსინ“-ი სწერს: მანჯურიას მაგრე რიგად როდი გამოუდგება იაპონია, კორეიაში კი ერთ ჩიჩქნა ადგილსაც არ დაუთმობს უბრძოლველად რუსეთს. გაზეთს იმედი აქვს, ეს დავა მორიგებით გათავდებაო.

ფრანგულ გაზ. „ტან“-იც დარწმუნებულია, რუსეთი კორეიაში დაუთმობს რასმეს იაპონიას და საქმე ამით გადასწყდებაო.

ზოგი კი, ვიმეორებთ, დარწმუნებულია, შორეულ-აღმოსავლეთში უსათუოდ ომი მოხდებაო. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რუსეთიცა და იაპონიაც ბეჯითად ემზადებიან ომისათვისაო. „ტაიმს“-ის კორესპონდენტს შეუტყვია „ლაფანის სააგენტო“-ში: რუსეთმა ორი კორპუსი ჯარი, 100 ათასი კაცი ციმბირის რკინის გზით შორეულ-აღმოსავლეთში გაისტუმრაო. ამას გარდა, დიდძალ ყაზახის ჯარის გაგზავნასაც აპირობენო. ერთის კვირის წინ 14 ვაგონი წამალი და ჰრილობის შესახვევი მასალაც გაგზავნეს ჯარისათვისაო. ბძანებაა, რომ პოლონეთის სამხედრო სურსათის საწყობებიდან 150 ათასი ფუთი დამარილებული ხორცი გაიგზავნოს შორეულ აღმოსავლეთში. ხმა დადის, სამხედრო მინისტრმა კუროპატკინმა იარაღის საყიდლად 25 მილიონ მანეთის დამატებითი კრედიტი ითხოვაო.

გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს 2 ოქტომბერს ამნაირი დეპეშა მოჰსვლია ლონდონიდან:

ფელეტონი

—

ფილისტერული მსჯელობა

(ვარინკას ამბავი, მოთხრობა გ. ჩარხიშვილისა, ავტორის სურათით, ტფილისი 1903 წ., გვ. 95).

I

უნდა, აღვიარო: აქ აღნიშნულმა წიგნმა პირველ დახედვისათანავე ძალიან დამაინტერესა. ბ-ნ ჩარხიშვილის გვარი მეტად არ გამეგონა ჩვენს მწერლობაში და გამიკვირდა, რომ ავტორს თავისი პირველი ნაწარმოები საკუთარი სურათის ზედ დართვით გამოუცია. მე ეს მოთხრობა ბ-ნ ჩარხიშვილის მართლა პირველი ნაწარმოები მეგონა, მაგრამ ამავე წიგნაკის კანზე დაბეჭდილმა განცხადებამ დამანახვა, რომ შევმცდარი ვიყავი. „დაბეჭდილია და ისყიდება—ამბობს განცხადება—ამავე ავტორის ლექსები და პოემები **ბიოგრაფიით**“. ამგვარად ბ-ნ ჩარხიშვილს ჯერ თავისი ცხოვრება გაუცვნია საზოგადოებისთვის და მერე თავისი სახის გამოხატულებაც. ამ გარემოებამ კიდევ უფრო აღმიძრა ცნობის-მოყვარეობა.

აქამდის ასეთი ჩვეულება იყო მწერლობაში, რომ ავტორი, ისიც სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული, თვითონ არ ბეჭდავდა თავის სურათს და ბიოგრაფიას. ამაზე ზრუნვას ანდობდა მკითხველ საზოგადოებას. თუ ავტორი გამოიჩენდა ნიჭს და ლიტერატურულ ნაყოფიერებას, საზოგადოება თვითონ დაინტერესდებოდა მისი პიროვნებით და ამ დაინტერესებას თავის თავად მოჰყვებოდა ხოლმე სურათიც და ბიოგრაფიაც მწერლისა.

მაგრამ ეს ჩვეულება გახლდათ ძველად, როცა ხალხი უფრო მორცხვი, უფრო მორიდებული იყო. ახალ მწერალს, როგორც პირველად ხალხში გრძელი კაბით გამოსულ გასათხოვარ ქალს, ერიდებოდა მკითხველი საზოგადოების და თავის ნაწარმოებზე ხშირად ნამდვილი გვარის მოწერასაც ვერ ბედავდა. დღეს-კი პროგრესიული ხანაა, რომელმაც არ იცის გადამეტებული მორიდება და ცერემონია. ახალი მწერალი, ანუ უკეთ, მწერლობის მოარშიყე, თვითონ ჰბეჭდავს თავის სურათს და ბიოგრაფიას, თავისი ხელით აწერს ზედ,—მე ეს და ეს გახლავართ, გაწოდებთ, რასაკვირველია, ფულით და რიხიანად გეუბნებათ: მიცნობდეთო!

და აბა როგორ უნდა გავუტეხოთ ხათრი და არ გავიცნათ ასეთი კაცი.

სამწუხაროდ, მე არ შემიძლია გავაცნო მკითხველს ბ-ნ ჩარხიშვილის ბიოგრაფია. მისი „ლექსები და პოემები ბიოგრაფიითურთ“ ხელთ არა მაქვს, ხოლო „ვარინკას ამბავს“ მარტო ავტორის სურათი ახლავს,—უბიოგრაფიოდ. სურათი გვიჩვენებს ახალგაზდა კაცს, ლამაზად თმა-შეკრეჭილს, უწვეროს ან, შეიძლება, წვერ-მოპარსულს, პატარა ულვაშიანს და სამხედრო ჯარის კაცის ტანისამოსში გამოწყობილს, რომელსაც გულზე საათის ძეწკვი უჩანს. ქალების საყურადღებოდ შევნიშნავ, რომ ბ-ნი ჩარხიშვილი სურათზე ლამაზი სახის კაცად მოჩანს. სურათს ქვევით ავტორის ხელით აწერია: „გიორგი ჩარხიშვილი სამხედრო სამსახურში“. ამ ჟამად იგი სამხედრო სამსახურში აღარ არის, დაწესებული ვადა უმსახურნია და ახლა, როგორც თვითონ აცხადებს, მსახურობს „სადგ. მიხაილოვში კასირად“. სხვა მე არა ვიცი რა პირადად ბ-ნ ჩარხიშვილის შესახებ, და ვისაც მეტის გაგება სურს, უნდა მიჰმართოს ავტორს და გამოიწეროს მისგან „ლექსები და პოემები ბიოგრაფიითურთ“. თანახმად განცხადებისა, „ვინც ოცზე მეტს გაიწერს, როგორც „ვარინკას ამბავს“ ისე „ლექსებს და პოემებს“, ნახევარ ფასად დაეთმობათ“. ხელსაყრელი პირობაა.

„ვარინკას ამბავში“ ავტორს აწერილი აქვს ერთი საროსკიპო სახლში მყოფ ქალის თავ-გადასავალი, რომელსაც სახელად ვარინკა ჰქვია. ეს არის ამბავი მეტად მარტივი, безхитростный, როგორც რუსები იტყვიან, ნახევრად აგებული თვით ქალის ნალაპარაკევზე, მოკლებული ყოველგვარ ეფექტებს ან სულიერ მდგომარეობის დახასიათებას და დასურათებას; ამბავი—თავიდან ბოლომდი პროზა როგორც შინაარსით, ისე ფორმით, რომელიც მკითხველს ვერ გაიტაცებს და ვერაფერს აგრძნობინებს, გარდა მოწყენისა და მთქნარების სურვილისა.

ვარინკა შთამომავლობით ნახევრად ქართველია და ნახევრად პოლონელი. დედა მისი იყო ქართველი ქალი, ხოლო მამა პოლონეთიდან მოსული ექიმი. ჩვიდმეტი წლის ვარინკას შეუყვარდა ახალგაზდა ქართველი თავადიშვილი ტიტიკო. ესეც მისი სიყვარულით გიჟდებოდა, მაგრამ მშობლებმა არ მისცეს ჯვარის-წერის ნება. ამიტომ ერთ ღამეს ტიტიკო და ვარინკა გაიქცნენ მშობლების ოჯახიდან და გადასახლდნენ თავისუფლების ქვეყანაში,—საფრანგეთში. აქ პირველ ხუთ წელიწადს ტკბილად და სიყვარულით ცხოვრობდნენ. ტიტიკომ რაღაც სავაჭრო საქმეებს მოჰკიდა ხელი და კარგადაც მოეწყო. მაგრამ, ალფრედ მიუსესი არ იყოს, tout meurt, et ce monde est un grand rêve,—ყველაფერი კვდება ამ ქვეყნად, და ტიტიკოს სიყვარულიც ხუთი წლის შემდეგ დაჰკნა და გახმა. მას შეუყვარდა ერთი ფრანგის ქალი და ვარინკაზე გული აიყარა. ბოლოს საგზაო ფული მისცა და სამუდამოდ თავიდან მოიშორა,—ტფილისისკენ გამოისტუმრა. აქ ვარინკას დედმამა დახოცილი დახვდა, აფიცერმა ძმამ სახლში არ შეუშვა და ახლოს არ მიიკარა. დარჩა ვარინკა ქუჩაში, უსახლ-კაროდ, უსახსროდ და უნაცნობებოდ. ერთხანს ებრძოლა გაჭირვებას, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ გაუძლო და გარყვნილების სახლში ამოჰყო თავი. და, აი, აქ შეხვდა მას ავტორი, გაიგო მისი ამბავი, მოინდომა შველა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერი მოახერხა. რამდენისამე ხნის შემდეგ იგი ხელმეორედ შეჰხვდა სამხედრო სამკურნალოში, სადაც მოეყვანათ ვენერიული სენით გახრწნილი და სიკვდილის კარს მიღწეული. და ამ სამკურნალოში თა-

„გუშინ საღამოს ტოკიოდან ისეთი სარწმუნო ცნობა მივიღე, რომ „მორნინგ პოსტი“-ს ჩიფუდან მიღებულ დეპეშაც ყურადღების ღირსად მიმაჩნია. „მორნინგ პოსტ.-ის კორესპონდენტი იუწყებია, ჩიფუში ხმა დადის, მალე იაპონია-რუსეთის ომი დაიწყებაო; იქ ყველანი ჰფიქრობენ თურმე, ზღვაში უსათუოდ იაპონიის ხმალი გასჭრისო. იმედი აქვთ, ჩინეთის ახლად შეიარაღებული ჯარი იაპონელებს მიეშველება და მანჯურიის გულისათვის რუსის ჯარს შეებმებაო. უკანასკნელ ათ თვეში ჩინეთში დიდძალი იარაღი და სამხედრო მასალა შეიტანეს და დღესაც მრავალი შეაქვთ. იაპონიის გემმა ჩიფუში იარაღი და სამხედრო სურსათი მოიტანა, მაგრამ დაცლის ნება არ მისცეს. რუსის ნალმიან გემებს პორტ-არტურში თვლა არა აქვს“.

ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტებიც ამასვე იუწყებიან: თუ ომი მოხდა, ჩინეთი უსათუოდ იაპონიის მხარეს დაიჭერსო. ჩინეთი სრული 9 თვე ემზადება რუსეთთან საბრძოლველად. დიდ-ძალი იარაღი და სამხედრო სურსათი მოზიდა ჩინეთმა. ეს იარაღი და მასალა მომეტებულ ნაწილად იაპონიის გემებითაა მოზიდულიო. ჩინეთი ეხლაც დიდძალ იარაღს ჰყიდულობს. ჩინეთის ერთმა მთავარ-მართებელმა იუნშიკაიმ იაპონელ ფირმას, ოკურასა და ამხანაგობას ტოკიოში, ჩინეთის ჯარისათვის 50 ზარბაზანი შეუკვეთა და 10 ათასი თოფი. ფულს ჩინეთი წვრილ-წვრილად, წლიურად გადაიხდის. ჩინეთმა ეხლა ჭკუა ისწავლა და რიგზე გაარჩია, ვინაა იმისი მტერი და ვინ მოყვარეო.

იაპონელებს დღესაც ომისათვის აძაგძაგებთ თურმე. ყველაზე ძლიერ რუსეთთან ომი იაპონიის იმპერატორის ნათესავს პრინც კანოეს სწყურიან. პრინც კანოეს დიდი აგიტაცია გაუმართავს ხალხში და ომის თაობაზე ცალკე წიგნიც გამოუცია. კანოე დარწმუნებულია, იაპონია გაანადგურებს რუსეთის ფლოტსა და ჯარსაო. გამარჯვების შემდეგ იაპონიამ ამნაირი ეშხიანი ზავის პირობა უნდა ჩამოართოს რუსეთსაო: 1) რუსეთმა 600 მილიონი იენა კონტრიბუცია უნდა გადაუხადოს იაპონიას და კუნძული სახალინი დაუთმოს; 2) ციმბირის რკინის გზა ვიდრე ირკუტსკამდე აპონიას უნდა გადაეცეს; 3) იაპონელებს მთელ ციმბირში დასახლების უფლება უნდა მიეცეთ.

პეკინიდან და ვაშინგტონიდან იუწყებიან: რუსეთი დასთანხმდა, რომ მანჯურიის ნავთსადგურებში უცხოელებს ვაჭრობის ნება მაეცესთ. რუსეთი, ალბად, შეერთებულ შტატებსა და იაპონიას დაუთმობს ამ საქმეში, თუ არ დასთმო, შეიძლება დიდი ამბები მოხდესო.

ინგლისი თან იაპონიას აქეზებს რუსეთთან საომრად, თან კიდევ შუამავლობასაც ჰკისრულობს და ვითომ მორიგებას სცდილობს. რუსულ გაზ. „დალნი ვოსტოკ“-ი სწერს: „ხმა დადის, ინგლისმა რუსეთისა და იაპონიის მორიგება იკისრაო. შუა-კაცად ინგლისმა თავისი ელჩი ბ-ნი მაკდონალდი დანიშნაო. ბ-ნ მაკდონალდს ამ ნაირი მორიგების პირობა წარუდგენია ორსავ სახელმწიფოსათვის:

რუსეთმა მანჯურია ჩინეთს უნდა დაუბრუნოს. მანჯურიის უმთავრესს ქალაქებში ყველა სახელმწიფოს ვაჭრობის ნება უნდა მიეცეს. რუსეთმა ჯარი უნდა გაიყვანოს მანჯურიიდან იმის გარდა, რაც რკინის გზის დასაცველად დასჭირდება. რუსეთმა მდინარე იალუს (კორეიაშია) ნაპირებზე ტყეების გაჩეხის უფლებაზე ხელი უნდი აიღოს და იონამ-პოს (კორეიაშია ესეც) კონცესია გააუქმოს. ამას გარდა, მთელი კორეია იალუს სამხრეთით იაპონიის გავლენის ქვეშ უნდა იყოს.

იაპონური გაზეთი „იოროძუ“ სწერს: იაპონიის მთავრობა კიდეც დასთანხმდა ბ-ნ მაკდონალდის პირობას. რუსეთს კი ჯერ არ გამოუცხადებია თანხმობა. ინგლისის ელჩსა და რუსეთის ელჩს ეხლა მოლაპარაკება აქვთ გამართული ამ საქმეზე.

იაპონიას იმედი აქვს, რუსეთს მარტოდმარტო გავუმკვლავდებით და ვაჯობებ კიდეცაო. მაგრამ ბევრნი ჰფიქრობენ, იაპონიას უსათუოდ ინგლისი და ამერიკაც დაეხმარებიანო. გერმანული გაზ. „ვოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: „თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, ინგლისი და შეერთებული შტატები მხოლოდ დიპლომატიურად დაეხმარებიან იაპონიას. მეტის დახმარების იმედი ტყუილად ექმნება. ის-კი შესაძლებელია, რომ ჩინეთმა იაპონიის მხარე დაიჭიროსო.“

მართალია „ზღვის ლომს“ ინგლისს და „აღმოსავლეთის ამომავალ ვარსკლავს“ კავშირიცა აქვთ შეკრული, მაგრამ ამ კავშირის ძალით, ინგლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეშველოს იაპონიას, თუ ორ სახელმწიფოსთან მოუვა ომი; თუ მარტო ერთთან ექნება ბრძოლა, მაშინ ინგლისმა მტკიცე ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას, ესე იგი განზე უნდა დადგეს და არც იაპონიას უშველოს, არც რუსეთს. ამ შემთხვევაში ინგლისს მხოლოდ იმის მოვალეობა აქვს, რომ სხვა გარეშე სახელმწიფოებს იაპონიასთან ბრძოლა დაუშალოს.

გინდ ინგლისმა ჯარით და საქმითაც არ უშველოს, იაპონიას მაინც მტკიცე იმედი აქვს, რუსეთს მარტოკაც აჯობებო,— სწერენ უცხოეთის გაზეთები.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა **ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების** შესახებ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ამ შუამდგომლობის პასუხად ურჩია თვითმმართველობას, ავლაბარში პროგიმნაზიის ნაცვლად დააარსოს სამექანიკო-სატეხნიკო სასწავლებელი. გამოირკვა, რომ სატეხნიკო სკოლის დაარსებას ერთ ხანად დასჭირდება 100,000 მან., ხოლო ყოველ წლობით 10,000 მან. ამდენ ფულის გაღება-კი ქალაქს არ შეუძლიან. ამის გამო ქალაქის საბჭომ ამას წინად დაადგინა, ხელ-ახლა აღძრას შუამდგომლობა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა გაუგზავნა შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობას. შუამდგომლობაში ქალაქის მოურავი სწერს, რომ ტფილისს ნაკლებად აქვს სასწავლებლები, რის გამო მცხოვრებნი, განსაკუთრებით ავლაბრისა, გაჭირვებულნი არიანო.

◆ **ლეჩხუმიდან გვწერენ**: ს. ჩოლურს თავ. ი. გარდაფხაძეს უთანხმოება მოსვლია თავის ნაყმევთან. როგორც ამბობენ, გლეხი სანადელოს აღარ აძლევდა. ამ ორი კვირის წინად გარდაფხაძე წასულა სანადელო თავის წამოსაღებად. როდესაც გარდაფხაძეს მარხილზე თივა დაუდევს, ამ დროს ნაყმევ გლეხს თოფი უსროლია და იქვე მოუკლავს.

◆ ჰფიქრობენ, **სოფლისა და მაზრის ექიმებს** ჯამაგირები მოუმატონ.

◆ **ქვალონისა, თეკლათისა და ჭალადიდის სოფლის საზოგადოებებმა** საჩივარი აღძრეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წინააღმდეგ. გამგეობამ ფოთის შტოზე მდ. ჯიონახინჯზე აგო ხიდი. რადგან კალაპოტი შევიწროვდა, წყალი გუბდება, მინდორში გადადის და ნათესს ჰლეკავს. ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ საჩივარი რკინის გზის გამგეობას გამოუგზავნა. გაგზავნილმა ინჟენერებმა დაათვალიერეს ხიდი და საჭიროდ სცნეს კალაპოტის გაფართოვება. ამისთვის გადაიდო 70,000 მან.

◆ **გუდაუთსა, ოჩამჩირსა და სოხუმის ოლქში** საადგილ-მამულო საქმეების გამოსარკვევად წავიდა განსაკუთრებული კომისია მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორის მაკსიმოვის თავმჯდომარეობით.

◆ როგორც „მწყემსი“ გადმოგვცემს, **სოხუმის ეპარქია** უკვე ჩამოაცალეს საქართველოს საეგზარხოსოს და პირდაპირ უწმ. სინოდს დაუქვემდებარეს. სოხუმში ჰფიქრობენ ოთხ-კლასიან სასწავლებლის დაარსებას, განსაკუთრებულის პროგრამით, სადაც ადგილობრივ მკვიდრთ მიიღებენ.

◆ ამავე გაზეთში ვკითხულობთ: „ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩინებულად კურს დამთავრებულთ წელს უარი უთხრეს ქუთ. სემინარიაში მიღებაზე; ესევე მოსწავლენი რუსეთის სემინარიებში მიიღეს“.

◆ **ხევსურეთიდან გვწერენ**: ვინ არ იცის, როგორ უკიდურესს მდგომარეობაში არიან ხევსურნი უმიწობისა და მკაცრ ბუნებისაგან. ამის გამო პირიქით ხევსურეთის სოფელ ახიელის საზოგადოების ოც კომლს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, თავისუფალი ტყიანი ადგილი დაგვითმეთ სოფელ ქისტიაურთანაო კახეთში და ნება მოგვეცით აქედან გადავსახლდეთო. ათ კომლამდის უკვე გადასახლებულა კახეთში და დაბინავებულა ერთ მემამულის ადგილზე.

◆ როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, განჯის მაზრაში 7 ოქტომბერს **მოუკლავთ კატორგიდან გამოქცეული** ჯაბარ-მაჰმედ-ოღლი. 9 ოქტომბერს კიდევ ნუხის მაზრაში მოუკლავთ ყაჩაღი ბილიბილაი ორუჯ-ოღლი.

◆ **ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის** ინსპექტორის თანაშემწე ნარბეკოვი დაინიშნა სენაკის სასულერო სასწავლებლის ზედამხედველად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა კოკჩაევმა **შეიმუშავა წესი** იმისა, თუ იურისკონსულტებმა და იმისმა თანაშემწეებმა როგორ უნდა გაინაწილონ საქმეები. მომრიგებელ მოსამართლეებთან თანაშემწემ უნდა აწარმოვოს. სისხლის სამართლის საქმეები, ხოლო სამოქალაქო საქმეები როგორც მოსამართლესთან, ისე ოლქის სასამართლოსა და პალატაში უნდა აწარმოოს იურისკონსულტმა. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს წესები და დაამტკიცა.

◆ გორის მაზრის სოფელ **ვანათში არსებობს ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა.** შარშან ჰფიქრობდნენ ერთის კლასის ოსეთში გადატანას. ეხლა, როგორც გავიგეთ, ორსავე კლასს ვანათში სტოვებენ.

◆ 9 ოქტომბერს ხორცის დუქნების გამგე-კომისიამ დაადგინა სოფ. ოლგინსკაიასთან ცოტოხცევის საბაღახო ადგილი იჯარით აიღოს 3 წლით წელიწადში 4400 მანეთად.

◆ აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგემ ამას წინად სთხოვა ქალაქის გამგეობას მიჰყიდოს ვოდოვოზნი ქუჩაზე არსებული ქალაქის სახლი. გამგეობამ არ შეიწყნარა ბანკის გამგის თხოვნა.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 50 მან. გადასდოს ხუდურეთის სკოლის მოსწავლეთა გონიერ გასართობის მოსაწყობად.

◆ ტფილისში რესტორანების პატრონებმა გიორგი სხირტლაძემ, ცუკანოვმა, კარაპეტ კემოშოვმა და დეკევმა განცხადება წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. სწერენ, რომ ჩვენზე სატრაქტირო გადასახადები ძალიან ბევრია. შემოწერილი

ლია ვარინკამ მალე თავისი ტანჯული სული.

ეს არის ბ-ნ ჩარხიშვილის მოთხრობის შინაარსი. როგორც ხედავთ, სიუჟეტი მართლა მარტივია და ძალზე რეალისტური. ეტყობა, ავტორი ფანტაზიის ამყოლი კაცი არაა. იგი სწერს მხოლოდ იმას, რაც მას და რაც ბევრ სხვას უნახავს, სწერს ცხოვრების სინამდვილეს, შეუზავებელს ოცნებით და პოეზიის ფერად საღებავებით. აბა ვინ არ იცის, რომ სიყვარული მუდმივი და შეურყეველი არ არის, რომ ადამიანის გრძნობა ცვალებადია. ტიტიკოს ვარინკაზე გული გაუცივდა, სხვამ გაიტაცა; არავითარი ფორმალური პირობით ან კანონით ხელ-შეკრული არ იყო, რომ ვინმეს ან რამეს დაეშალა; ზნეობის ძალა სუსტობდა, ადგა და წინანდელი სატრფო და ეხლანდელი საყვარელი დაუბრკოლებლივ სახლიდან გამოაძევა. რა უნდა ექნა ვარინკას მდგომარეობაში ჩავარდნილს ქალს. მას არ ჰქონდა ცხოვრების ცოდნა, არ ჰქონდა მიღებული არავითარი ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლა. ადრე თუ გვიან იგი გასაჭირს უნდა გაეტეხა და ზნეობით დაეცა. ასე მოსდის ხოლმე ჩვეულებრივს ადამიანს და ასევე მოუვიდა ვარინკასაც. და რახან ერთხელ შესდგა ფეხი ჭუჭყის მორევში, მერე მისი ხსნა ძნელი იყო. დაცემული ქალის ბოლო ვარინკასაებ ცუდი სენი და სამკურნალოა. ერთის სიტყვით ბ-ნ ჩარხიშვილის მოთხრობაში თავიდან ბოლომდი ლოღიკაა, ლოღიკა მარტივი და ყველასთვის გასაგები.

მაგრამ ცხოვრების ფაქტის ფოტოგრაფიულად გადაღება და ოღრო-ჩოღრო სტილითა და ფორმით დაწერა არ ნიშნავს, რასაკვირველია, ხელოვნურ ნაწარმოების შექმნას. ბ-ნ ჩარხიშვილის მოთხრობასაც ხელოვნების არა აცხია-რა. თუ შინაარსის მხრით მოთხრობა ინტერესს მოკლებული არაა, სამაგიეროდ მხატვრობა-პოეზიის მხრით სრულიად სუსტი და უმნიშვნელოა. მთელს ნაწერში არ არის არც ერთი ისეთი ადგილი, რომელიც მკითხველის გულსა და სულს ღრმად ხვდებოდეს, მომქმედი პირის სულის კვეთებას აგრძნობინებდეს, მისი ტანჯვით ალონებდეს და სიხარულით ახარებდეს. არ არის არც ადამიანის პსიხიურ ფიზიონომიის ანალიზი და არც გარეშე არისა და პირობათა გარკვევა. თავიდან ბოლომდი მოთხრობას აკლია ის მარილი, რომელსაც მხატვრობითი ძალა და ნიჭი ჰქმნის.

მეორე მთავარი ნაკლი ბ-ნ ჩარხიშვილის მოთხრობისა არის ის, რომ იგი მოკლებულია, რამოდენიმედ მაინც, ორიგინალობას. ბ-ნ ანტონ ფურცელაძესაც აქვს „ვარინკას ამბავის“ მსგავსი მოთხრობა, რომელიც დაწერილია 1866 წელს და სათაურად ეწოდება „სამის თავ-გადასავალი“. ამ ორ მოთხრობის ერთმანეთთან შედარებამ დამარწმუნა, რომ ბ-ნ ფურცელაძის გავლენა ბ-ნ ჩარხიშვილზე ყოველ ეჭვს გარეშეა. ეს გავლენა ზოგიერთ ადგილას თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოწერაშიაც გამოიხატება. მაგალითები:

„სამის თავ-გადასავლის“ შირაასს ჯერ დავითი უამბობს ბესარიონს და ბესარიონი შემდეგ ბ-ნ ანტონს, მოთხრობის ავტორს. დავითი ასე ლაპარაკობს თავის სიღარიბეზე: „აღარ დამრჩა სასამართლო, რომ ალაგი არ ვითხოვე, და ალაგის მოცემის მაგიერათ მერთმეოდა ქალალდის ფული. დავრჩი ხახამშრალი. დაუწყე უროკებს ძებნა. ბოლოს როდის-როდის გამიჩნდა ერთი უროკი, რომელშიაც ვიღებდი თვეში სამს თუმანსა“ (გვ. 7).

ბ-ნი ჩარხიშვილიც ღარიბი კაცი ყოფილა: „მისუსტებულის ფეხებით რამდენს არ მივმართე,—სწერს იგი,—მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ რო ყურიც არავინ გაიბერტყა. მე რომ საქმე არც ერთ ადგილას არ ამომიჩნდა წინააღმდეგ შემთხვევაში (!) გადასაწერები ვიშოვნე. გარდა ამისა, მოსამზადებლად ბავშვებსაც ვიყვანდი, და ასე იყო თუ ისე ვცხოვრობდი“. (გვ. 13).

დავითის მეგობარს, სვიმონს, „ეჭირა ორი სუბთა ოთახი და ერთი სამზარეულო. იმან მირჩია,—ამბობს დავითი,—რომ მე გადავსულიყავ იმასთან. მე მაშინვე სიხარულით გადავლაგდი ჩემის ბარგითა“ (გვ. 11). ბ-ნ ჩარხიშვილსაც ჰყავს თუ ჰყავდა მეგობარი. „ამას ეჭირა განიერ ქუჩაზე ორი პატარა ოთახი. ერთი ოთახი განსაკუთრებით მე (ე. ი. ჩარხიშვილს) დამითმო და საჭირო ნივთებითაც ხელი შემიწყო“ (გვ. 6).

ბ-ნ ფურცელაძისა და ჩარხიშვილის მოთხრობას საერთო და ერთ-ნაირი აქვთ ის მხარეც, რომ მომქმედნი პირნი დაცემულ ქალებს პროსტიტუციის სახლში გაიცნობენ. ამ გვარ სახლში შესვლის დროს, ამბობს დავითი, „მე დამიწყო როგორღაც საძაგლათ გულმა ცემა. პირველი იყო ჩემი ამ გვარ სახლებში წასვლა. ძნელი არ არის ხამობა“ (გვ. 33). ბ-ნი ჩარხიშვილი-კი ხამი არ ყოფილა, მაგრამ არც ძალიან ხშირი სტუმარი. „მე საზოგადოდ—სწერია 18 გვერდზე—არც გარემოება და არც ბუნება არ მაიძულებდა იმ გვარ ოჯახებში სვლასა. თუ ათასში ერთხელ წავიდოდა, ისიც უფრო ცნობის მოყვარეობით“ (შეად. გვ. 54, 55). როგორც ჰხედავთ, დავითი და ბ-ნი ჩარხიშვილი ამ მხრივაც რამოდენიმედ ერთმანერთს ჰგვანან.

„სამის თავ-გადასავალში“ მაშას დედა მაშის უნებურად გაჰყვა თავის ქმარს, რომელიც შთამომავლობით რუსი იყო. მამა არ თანხმდებოდა: „სხვა რჯულს მაინც არ მივსცემ ქალს, თუნდა ღენერალი იყოსო“, ამბობდა იგი (გვ. 37.) ვარინკას საყვარელის მამაც წინააღმდეგი იყო და თავის შვილს, ტიტიკოს, ნება არ მისცა, რომ „სხვა რჯულის“ (პოლონელის) ქალი შეერთო. „რამდენჯერმე ზიზღით ახსენა კიდეც ვარინკას დედა,—ქართველი ქალი რუსს და ისიც პოლიაკს მისთხოვებიაო“ (გვ. 48).

მაშამ უამბო თავისი თავ-გადასავალი დავითს ისე, როგორც ვარინკამ ბ-ნ ჩარხიშვილს. ამბვის დასრულებისას მაშას „მოუვიდა ტირილი, დაემხო პირ-ქვე და მიიფარა თვალებზე ხელი“ (გვ. 47). ბ-ნ ჩარხიშვილის მოთხრობაშიაც „ვარინკას გული ამოუჯდა და თვალებზე ხელის მიფარებით ქვითინი დაიწყო“ (გვ. 58. 66).

„ისეთის სიწრფელითა და ტანჯვით ამბობდა მაშა ამ ამბავსა,—გადმოგვცემს დავითი,—რომ რაც უნდა ურწმუნო კაცი ყოფილიყო, ერწმუნებოდა. მე საშინლად შემებრალა მაშა“ (გვ. 48). „მე ძალიან შემებრალ ის (ვარინკა),—ამბობს თავის მხრით ბ-ნი ჩარხიშვილიც,—რადგან ყველა იმის ნაამბობი ისე გულ-წრფელად იყო ნათქვამი, რომ ნამდვილად მჯეროდა“ (გვ. 58).

და შევიმცირეთო. მთხოვნელნი ამბობენ, ჩვენ წელიწადში ვიხდით 700 მან. მაშინ, როცა ისეთი დიდი სასტუმრო, როგორიც „ლონდონია“, 650 მანეთს იხდისო. გამგეობამ ეს განცხადება განიხილა და დაადგინა, უყურადღებოდ დასტოვოს.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“-ს მე-IX ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა:

ღორი, იგავი—ალ. მირიანაშვილისა. პურის ნატეხი, თარგმანი ალ. ცუცქირიძესი. ფუტკარი, ლექსი შ. მღვიმელისა. ვაშლი (რუსულიდან) გ. წყალტუბელისა. სპილო და მკერვალი (ფრანგულიდან) მ. ს. ლორთქიფანიძესი. ღვთის მწერი (ფრანგულიდან) ეკ. მესხისა. რისთვის არის ზღვის წყალი მლაშე, ზღაპარი ნიკო მაჩაბლისა. ვასოს საიდუმლო (რუსულიდან) ს. ციციშვილისა. ბექანია (ქირაფი) ლადო აღნიაშვილისა. მეხოლდენი (ოვიდიუსი) ა. ყუმისთაველისა. ძველი ისტორია ერნესტ ლავისისა, (ჯვაროსანთა ლაშქრობა) თარგმანი ნ. შენგელიასი. წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა-გამოსათქმელი, შარადა და სხვა.

შინ და გარედ

20.

ჩვენს გაზეთს შემთხვევა ჰქონდა მოელაპარაკა გ. მ. თუმანიშვილის წიგნზე კავკასიის სასამართლოების შესახებ. ეს წიგნი საინტერესო და სერიოზული გამოკვლევაა საკითხისა, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენს ქვეყანაში მართლმსაჯულების საქმე. რომ ეს მდგომარეობა ანორმალურია, არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს. ბ. თუმანიშვილს ბევრი საგულისხმიერო ფაქტი და მოსაზრება მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში მართლმსაჯულების საქმე სამწუხარო ყოფაშია.

სხვათა შორის, ავტორი იმ აზრისაა, რომ საქმის გამოსაბრუნებლად საჭიროა ჩვენშიაც იქმნას შემოღებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რადგან ადგილობრივი მკვიდრნი უფრო ადვილად და სისწორით შესძლებენ გაარკვიონ სხვა-და-სხვაგვარი ადგილობრივი ბოროტ-მოქმედება, ადგილობრივ ცხოვრების პირობანი და სხვა; სწორედ ამისათვისვე საჭიროაო, ამტკიცებდა ავტორი, რომ მოსამართლეებმა ადგილობრივი ენები იცოდნენ.

ორივე ეს დასკვნა არ ახალია: მათ შესახებ ბევრი დაწერილა და შუამდგომლობაც აღძრულა; სხვათა შორის, მოვაგონებთ მკითხველთ შუამდგომლობას ქუთაისის თავად-აზნაურობისას. ეს შუამდგომლობაც, ბ. თუმანიშვილის წიგნიც და ბევრი სხვა, რაც ამ საკითხებზე დაწერილა, სერიოზულ და მიუდგომელის განხილვა—კრიტიკის ღირსნი იყვნენ და არა ფუქსავატ მსჯელობისა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა: გარდა რამდენიმე გაზეთისა, რომელთაც თანაგრძნობით გადმობეჭდეს ზოგი ადგილები თუმანიშვილის წიგნიდან და ქუთაისის თავად-აზნაურობის შუამდგომლობიდან, არავის ჯეროვანის ყურადღებით არ გაურჩევია აღძრული საკითხები. უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ფუქსატისავე მსჯელობით განუხილავს ეს საკითხები ისეთ ავტორიტეტულს ჟურნალს, როგორიც არის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა.

როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს გუშინდელი მეთაური გადმოგვცემს, ხსენებული ჟურნალი სამ გარემოებას აქცევს ყურადღებას, რომლებით ვითომ სრულიად აქარწყლებს ბ. თუმანიშვილის ზემოდ აღნიშნულ დასკვნათ.

პირველად იუსტიციის ჟურნალი ამბობს, არ შეიძლება გავიჩინოთ კავკასიაში შესაფერისი და საკმაო რიცხვი სასამართლო მოღვაწეებისა, რომელთაც ადგილობრივი ენები იცოდნენ, რადგან იმ ქვეყანაში 70-მდე სხვა-და-სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობსო. როგორც ხედავთ, არც ეს მსჯელობაა ახალი: ველიჩკო-პალმებისაგან ბევრჯელ გაგვიგონია, რომ კავკასიაში არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, არც ერობის შემოღება არ შეიძლება, რადგან ენების სხვა-და-სხვაობა არსებობსო. როდესაც პალმები ამბობენ ამას, ჩვენ ვიცით, რომ ეს უბრალო თვალთმაქცობაა, რომ ეს განზრახ შეთხზული დაბრკოლებაა, რომლითაც ჩვენი „მეგობრები“ ვისაც ჯერ არს თვალს უხვევდნენ. მაგრამ რას იტყვით, როდესაც ამასვე იმეორებს ავტორიტეტული ჟურნალი? სხვა გზა არ არის სერიოზული პასუხი უნდა მისცე; უნდა აუხსნა, რომ ამიერ-კავკასიაში ყოველი თითოეული მცხოვრები კი-არ ლაპარაკობს განსაკუთრებულს ენაზე, რომ ჩვენი ქვეყანა მართლა ბაბილონის გოდოლს კი არ წარმოადგენს, არამედ აქაც არის ორი-სამი უმთავრესი ენა, რომელიც თითქმის ყველა მცხოვრებთ ესმის. „ნოვ. ობოზრ.“-ს თქმისა არ იყოს, ჩვენი მხარე განიყოფება ორ დიდ რაიონად: ტფილისის დ ქუთაისის გუბერნიები, ბათუმისა დ სოხუმის ოლქები შეადგენენ ქართველთა სამფლობელოს, სადაც მთავარი ენა ქართულია; დანარჩენ ამიერ-კავკასიაში სომხური და თათრული ყველამ იცის. მაშასადამე სრულიად არ არის საჭირო 70 ენის ცოდნა, როგორც ჰგონია შეშინებულსა და გაკვირვებულს ჟურნალს, არამედ მეტ შემთხვევაში საკმარისია მოსამართლემ ერთი მთავარი ადგილობრივი ენა იცოდეს, რომ იმასაც ყველაფერი ესმოდეს და მისიც გაიგონ ყველაფერი...

სამწუხაროდ, ჟურნალის მეორე მოსაზრება ასეთივე საოცარია და თანაც მოულოდნელი. ავტორი ამბობს: იმ ქვეყანაში **პირველად** რუსებმა დაამყარეს წესიერი სახელმწიფური მართლმსაჯულება და სამართლიანობა მოითხოვს იქ რუსული სასამართლოები იყოსო. ასე, ერთის კალმის მოსმით, ოფიციალურმა ჟურნალმა მოსპო სრულიად ჩვენი წარსული ისტორია და კულტურა! რუსულს იურიდიულს სახელმძღვანელოებშიაც-კი აქვს დათმობილი ადგილი ქართულსა და სომხურს უფლებასა და კანონმდებლობას; თუმცა მცირეა ეს ადგილი, მაგრამ სტუდენტებმაც-კი იციან ბიზანტიურ კანონმდებლობიდან და საეკკლესიო უფლებიდან, რომ ქართველთაც და სომეხთაც ჰქონიათ წესიერი მართლმსაჯულება, ცოტად თუ ბევრად განვითარებული კანონმდებლობა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ერთი ვიკითხოთ: განა რუსული სასამართლო რუსული აღარ იქნება, თუ მოსამართლეს ადგილობრივი ენა ეცოდინება? განა სასამართლო უცხო იქნება, თუ ნაფიც მსაჯულებად „ინოროდცებიც“ იქნებიან? რასაკვირველია,—არა და სწორედ გასაოცარია, რომ ასე მოუფიქრებლად სჯის ჟურნალი.

დასასრულ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ „შუშა და ჩუხლომა“ ერთი არ არის და ერთნაირ სასამართლოს ვერ მივანიჭებთო. მართალია და სწორედ ამიტომაცაა საჭირო, რომ მოხელე-მსაჯულთ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი ნაფიცი მსაჯულნი, რომელთაც ადგილობრივი ენები იციან, ჩვენი ჭირ-ვარამიც, ჩვენი სიგლახეც და ჩვენი სიკარგეც...

აი ავტორიტეტულ ჟურნალის პასუხი ჩვენს თხოვნაზე! ნუ-თუ სამწუხარო არ არის, რომ იგი „ჩენომ. ვესტნიკ“-ის აბდა-უბდას იმეორებს?!

გან

თეატრი

—

ქართული წარმოდგენა. ხუთშაბათის წარმოდგენა ქართულ თეატრში სწორედ არა ჩვეულებრივი იყო. ჯერ ერთი, ლოჟებიცა და პირველი რიგებიც ავსილი იყო ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილით, რომელიც იშვიათად სწყალობს ქართულ თეატრს; ბევრი მათგანი, ვგონებთ, არც არასოდეს ყოფილან ჩვენს თეატრში. მეორეც ისაა აღსანიშნავი, რომ წარმოდგენაც საუცხოვო იყო, რაც, სამწუხაროდ, ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც ჩვენის „ბომონდის“ თეატრში მობრძანება.

წარმოადგინეს ორი პიესა: ნათარგმნი—„უბედური ნაბიჯი“, დრამა კარეევისა და ორიგინალური—„გაცრუებული იმედები“, კომ. ნ. აზიანისა. ორივე პიესა უკვე წარმოუდგენია ჩვენს დასს და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

„უბედური ნაბიჯი“ სუსტი ნაწარმოებია. პრიმიტიული ფსიხოლოგია, სენტიმენტალური სცენები და მეტად მარტივი განვითარება დრამისა ბევრს არაფერს ეუბნებიან თანამედროვე ადამიანის გონებასა და სულს. ასეთმა დრამამამ დიდი შთაბეჭდილება რომ მოახდინოს, საჭიროა აღსრულება იყოს კარგი. სწორედ ასე იყო ხუთშაბათსაც; ჩვენმა არტისტებმა სული ჩაჰბერეს უსიცოცხლო ნაწარმოებს და მთელი საზოგადოება ააღელვეს. ნამეტურ საუცხოვო იყო ქ-ნი ჩხეიძე ბარბარე პეჩორინას როლში. მეტად გულწრფელი და მგრძნობიარე კილო არტისტისა მშვენიერად გადმოგვცემდა უბრალო და კარგ ადამიანის სულის კვეთებას, მის დარდსა და სიხარულსაც. ნაზი და სუსტი ხმა არტისტისა გაძლიერდა მესამე მოქმედებაში და ჩხეიძემ უნაკლულოდ დაგვიხატა მოტყუებულ ქალის გამწარება და სასოწარკვეთილება. მისმა გატაცებამ ააღელვა მსმენელნი, ყველას დაავიწყა სუსტი პიესა და აგრძნობინა გაუბედურებულ ქალის ნამდვილი სულიერი ყოფა. კარგი იყო ბ-ნი გუნიაც ნიკოლაი ბალავინის როლში. ჩვენ თვალწინ იდგა სიმპატიური ტიპი ცოტათი ფუქსავატის, მაგრამ ღრმად მგრძნობიარე მხედრისა, რომელიც მზად იყო თავი შეეწირა საყვარელ არსებისათვის. თუ ბ-ნმა გუნიამ ცოტათი გადააჭარბა 1-ლს აქტში და მეტად ქარაფშუტა, ისიც ძალიან დამთვრალი ბალავინი გვაჩვენა, სამაგიეროდ მე-2 და მე-3 მოქმედებაში თითქმის უნაკლულოდ თამაშობდა. იგივე არ ითქმის მესამე მთავარ როლის აღმსრულებელის, ბ-ნ სვიმონიძის (ბოროდინი) შესახებ. ისედაც მკრთალი სახე ამ მომქმედი პირისა, ბ-ნ სვიმონიძის გადმოცემაში სრულიად უსიცოცხლო გამოვიდა. კარგად უწყობდნენ ხელს საზოგადო ანსამბლს ქ-ნი კარგარეთელი ბარონესა შტრაუსის როლში და ბ. იმედაშვილი პისარევის როლში.

„გაცრუებული იმედები“ საუცხოვოდ წარმოადგინეს ჩვენმა არტისტებმა. როლები განაწილებული იყო ისეთ მსახიობთა შორის, როგორიც არიან ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნიაცაგარლისა, ე. ჩერქეზიშვილისა და აგრეთვე შათირიშვილი, აწყურელი და ტასო აბაშიძე.

არ გვესმის მხოლოდ, რად დასჭირებია ქ-ნ აზიანს თავის მოხდენილ პიესის რუსულის ციტატებით აჭრელება? სრულიად საკმარისი იყო ორიოდ-სამიოდე სიტყვა ჩაერთო მომქმედ პირთა ლაპარაკში და ამით სრულიად სავსებით დაგვიხასიათებდა ნახევრად გადაგვარებულ ახალგაზდათ.

—

ოპერა. საწყალი ბიზე! იშვიათია იმგვარი შემთხვევა, რაც კომპოზიტორს ბიზეს მოუვიდა. ბიზე იშვიათის ნიჭის პატრონი იყო;

„რას ჩაფიქრებულხართ?—ჰკითხა უცებ მაშამ დავითს.—მე ვიცი, თქვენ არა გჯერათ ჩემი ამბავი“ (გვ. 458). სწორედ ასე ელაპარაკება ვარინკაც ბ-ნს ჩარხიშვილს: „შეიძლება არც კი დაიჯეროთ, დაიწყო ისევ ვარინკამ, როცა მნახა რო, ისე ჩაფიქრებული ვიყავ“ (გვ. 59).

„ფიქრი ნუ გაქვთ,—უთხრა ბოლოს დავითმა მაშას,—სადაც იქნება და როგორც იქნება ვეცდები თქვენს აქედამ გამოხსნასა და თუ მოვახერხე, დარწმუნებული იყავით“ და სხვ. (გვ. 49). ბ-ნ ჩარხიშვილსაც „სულით და გულით უნდოდა ვარინკას შველა და გამოხსნა იქიდან. ბევრი თანაგრძნობის სიტყვებით გული გავუკეთეო,—ამბობს იგი,—და უკვე შუაღამე გადასული იყო, რომ, როგორც დას, გამოვეთხოვეო“ (გვ. 67). დავითიც ისე იყო მაშასთან, როგორც დასთან (გვ. 35).

შინ რომ დაბრუნდა, დავითმა უამბო სვიმონს მაშას ამბავი, მაგრამ მისმა ამხანაგმა შებრალების მაგიერ პირველად მასხრობა დაუწყო. „აკი გეუბნები, რომ შენ ისევ ხბო ხარ მეთქი,—დასცინოდა სვიმონი,—შენ რომ სხვა ქალებში ყოფნა შეგხვდეს, მაშინ რა გეშველება“ (გვ. 50). სწორედ ასევე გულცივად მიეგება ვარინკას ამბავს ბ-ნ ჩარხიშვილის ამხანაგიც. „შენ, ჩემო კარგო, ძალიან იშვიათად დაიარები მაგათთან და იმიტომ უფრო ჰყვები და კითხულობ მაგათ ამბებს“, უთხრა მან. (გვ. 67).

დავითი ცდილობდა დაერწმუნებია სვიმონი მაშას გულ-წრფელობაში და აეხსნა მისთვის მიზეზი მაშას დაცემისა; მაგრამ სვიმონი მაინც არ ლბებოდა. „უმიზეზოთ სხვა ვინ ჩავარდნილა იქა,—უპასუხებს იგი,—რომ ეგ ჩავარდნილიყო, მაგრამ რა-კი ერთი ჩავარდებიან ხოლმე, მას უკან უტკბებათ და აღარ ნდომობენ, თუნდა შემთხვევაცა ჰქონდეთ, სხვა რიგს რიგიანს ცხოვრებასა“ (გვ. 51). თითქოს სვიმონისაგან ისწავლაო, ბ-ნ ჩარხნიშვილის მეგობარიც ასეთ პასუხს აძლევს ვარინკას ბედით დაინტერესებულ ავტორს: „ვიცი, რო ყველანიც სხვა და სხვა მიზეზით არიან ჩავარდნილნი, უმიზეზოთ იქ არავინ არ ჩავარდება, ხოლოთ ბოლოს ეჩვევიან მაგ უზნეობას და შემთხვევაც რო ჰქონდეთ, კეთილ ცხოვრებას ზურგს უქცევენ“ (გვ. 68).

კმარა. ვგონებ, აქ ამოწერილ ადგილებიდან მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ბ-ნ ჩარხიშვილს ბ-ნ ა. ფურცელაძის მოთხრობით უსარგებლიადა ფართოდაც უსარგებლია. არ ვიტყვით, რომ ეს პლაგიატობა იყოს. შეიძლება, „ვარინკას ამბვის“ ავტორს, ასე ვთქვათ, შეუგნებლად ჩარჩა ხსოვნაში „სამის თავ-გადასავალში“ წაკითხული ადგილები და თავის მოთხრობის წერის დროს უნებურად იხმარა ის სიტყვები და წინადადებები, რომლებიც აქა-იქ ბ-ნ ფურცელაძის ნაწერში გვხვდება. შეიძლება, ეს უბრალო შემთხვევაც—совпаденіе—იყოს, თუმცა ძნელი დასაჯერებელი კია. ყოველ შემთხვევაში, ასე თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება,—რომ ბ-ნ ჩარხიშვილის „ვარინკას ამბავი“ ძალიან ჰგავს ბ-ნ ფურცელაძის „სამის თავ-გადასავალს“ და პირველს ჩვენს მწერლობაში ორიგინალობა ვერ მიეწერება.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი გვანებისა, ამ ორ მოთხრობაში არის განსხვავებაც და ეს განსხვავება, ჩვენის აზრით, რამოდენიმედ ახასიათებს ეხლანდელ დროს და გვამცნევს თანამედროვე ადამიანთა ჰსიხოლოგიას.

ის დრო, როცა ბ-ნმა ა. ფურცელაძემ თავისი მოთხრობა დასწერა, იყო დრო გატაცებისა, ხანა იდეალისტური. ინტელიგენციას მაშინ გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა თავის ძალ-ღონეზე. იგი ჰხადიდა თავის თავს ცხოვრების მმართველად და მატარებლად. საკმარისი იყო მას შეეგნო და მოენდომებია, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი წყლული გამთელებულიყო და ნაკლი მოსპობილიყო. მაშინდელ შეხედულების თანახმად ადამიანის შეგნებული ნება და აზრი იყო მთავარი ძალა, რომელიც ამოძრავებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და აძლევდა მას განსაზღვრულ მიმდინარეობას. მხოლოდ ადამიანს უნდა მოენდომებია, „კრიტიკულ იდეის“ ანუ აზრის მიხედვით ეცხოვრა და ემოქმედნა,—ეს იყო თავი საქმე და მოვალეობა. „სამის თავ-გადასავალშიაც“ სვიმონი არ ერიდება მაშას წარსულ ცხოვრებას, უახლოვდება, იხსნის საროსკიპო სახლიდან და იხდის თავის ცოლად.

დღეს კი, როგორც მოგეხსენებათ, მატერიალიზმის ხანაა და ყველა პრაქტიკულ ინდივიდუალიზმს ემსახურება. ამას გულწრფელად და მარტივად გამოსთქვამს ბ-ნ ჩარხიშვილის ამხანაგი (გვ. 69—70): „კარგი და რომ გაიგონ, ეგ ქალი იქ არის ნამყოფი და სახელგატეხილი, რა მომელის მე?—უპასუხებს იგი ავტორს, რომელიც ურჩევს, ვარინკა დაიხსენიო.—არა, ძმავ, მაგგვარ ქალის საქმეში გარევა არც შენი საქმეა და არც ჩემი. ყველამ თავის ტვირთი უნდა ზიდოს, და ჩვენ კი ჩვენი ტვირთი ძლივ გვიტარებია. ხო იცი, რა ძნელია ეხლანდელი ცხოვრება და კანონი“. აი, ეს არის ეხლანდელ დროის პრაქტიკული ფილოსოფია. ვარინკამ ვერ ჰპოვა სვიმონის მსგავსი ადამიანი და დარჩა თავის ბედის ანაბარად მიტოვებული.

როგორც ხედავთ, ბ-ნ ჩარხიშვილის მოთხრობა ახალს და მაინცა და მაინც საინტერესოს არაფერს წარმოადგენს არც ფორმით და არც შინაარსით. სხვისი ნაწარმოებიდან აქა-იქ ადგილების ამოწერა ისეთი არაფერია, რომ ჩვენს მწერლობაში ბ-ნ ჩარხიშვილს გარდა სხვას არავის მოემოქმედოს. ყოველ შემთხვევაში ეს ისეთი საყურადღებო ამბავი არაა, რომ მის გამო გრძელი წერილის გაჰრელება ღირდეს. და ჩვენც, რასაკვირველია, მარტო ეს რომ ყოფილიყო, ამ წერილის წერას არ შევუდგებოდით და „ვარნიკას ამბავს“ შეუნიშნავად დავტოვებდით.

მაგრამ მარტო ეს არ გახლავთ. ერთმა გერმანელ ფილოსოფოსმა სთქვა: ისეთი წიგნი არ შემხვედრია, რომ შიგ ერთი რამ სასარგებლო აზრი მაინც არ მენახოსო. ბ-ნ ჩარხიშვილის მოთხრობაშიაც არის ორი ადგილი და შიგ ორი პაწაწა აზრი გამოთქმული, რომლის აღნიშვნა და განმარტება ჩვენ საჭიროდ და სასარგებლოდ გვეჩვენა. ის აზრი არ არის ახალი, პირ-იქით,—ზოგიერთ რრრადიკალ მკითხველს დავასწარით და ჩვენვე „ფილისტერული“ ვუწოდეთ; მაგრამ, გვგონია, ხან და ხან ძველი აზრის განმეორებასაც არაფერი უშავს და, თუ იგი სწორი და მართალია, ვნებას არავის მოუტანს.

ფ. გოგიჩაიშვილი

(დასასრული იქნება)

მისი ნიჭის განსაკუთრებული ხასიათი იმაში იხატებოდა, რომ რამდენად დახელოვნებული იყო ორკესტრისათვის მუსიკის დაწერაში, იმდენად კოჭლობდა ოპერაში მონაწილეთათვის სამღერალ პარტიების დაწერაში. ბიზემ რამდენჯერმე სცადა თავის ძალ-ღონე ოპერეტებისა და ოპერების წერაში, მაგრამ ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა სცენაზე. უკანასკნელი იმისი ნაწარმოები „კარმენი“-ცკი პარიზის სცენაზე პირველად დადგმული, ცივად მიიღეს. გავიდა ამის შემდეგ სამი თვე, ბიზე გარდაიცვალა საზოგადოებისაგან დაუჯილდოვებელი... განვლო დრომ და „კარმენი“ შეიქმნა უკვდავ, საუკეთესო ოპერად. მიზეზი პირველად საზოგადოების უყურადღებობისა „კარმენი“-სადმი და შემდეგკი საზოგადოების აღტაცება, ჩვენის აზრით, აიხსნება იმით, რომ პირველად დადგმის დროს ვერ შეურჩიეს იმდენად შესაფერი მომღერალნი, როგორსაც თხოულობს ოპერა. „კარმენი“ უფერულია საზოგადოების თვალში თუ ორი უმთავრესი პირი ოპერისა არ შეურჩია ოპერის დამდგმელმა. თვით კარმენი, დონ-ხოზე, ტორეოდორი, ეს პარტიები თხოულობენ კარგად განვითარებულ დრამატიულ სოპრანოს, ტენორს და ბარიტონს. ამასთანავე უნდა იყვნენ დიდად დახელოვნებული მსახიობნი, რომ სავსებით გადასცენ ყოველი სულის გრძნობა დაწყებული აღგზნებულ სიყვარულიდან, ვიდრე უკიდურეს სიმძულვარემდე. როდესაც დაცული იქმნებიან ეს პირობები, მაშინ ოპერის გამარჯვებას წინ არა უდგას-რა, რასაკვირველია, თუ ორკესტრიც, ხოროც და დანარჩენი მონაწილენი ხელს უწყობენ. სწორედ ამით აიხსნება ის აღტაცება საზოგადოებისა, რომელიც გამოიწვია „კარმენის“ დადგმამ 9 ოქტომბერს. ქ. კარრი კარმენის პარტიაში საუცხოვო იყო ყოველ მოქმედებაში, განსაკუთრებით პირველსა და მეორეში. ფიგნერი — შეუდარებელი დონ-ხოზე იყო. ტფილისს არ უნახავს ამისთანა დონ-ხოზე. ფიგნერი სცენაზე სცხოვრობს და ამით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე. გლადკოვიც კარგი იყო. უფრო კარგი აქნებოდა, რომ უფრო რიხიანი ბარიტონი იყოს. ერთის სიტყვით, საუცხოვო ანსამბლით დასდგეს ეს ოპერა.

სასამართლო

I

მარტყოფისა და ზედაზნის მონასტრების გაძარცვა

ტფილისის ოლქის სასამართლომ განსახილველად მიიღო მონასტრების გაძარცვის საქმე. პასუხის გებაში მიცემულია: ტფილისის მცხოვრები ტოტო ივანეს ძე გაბაშვილი (იგივე გიორგი ივანეს ძე ადნიაშვილი), ტფილისის საპატიო მოქალაქე ოჰანეზ ტერ-ვართანის ძე ტერ-ვართანიანცი, ოზურგეთის მოქალაქეები—ივანე რომანოზის ძე თოთიბაძე და რაჟდენ იოსების ძე ცეცხლაძე, სოფელ აკეთის მცხოვრებნი ილია გიტოს ძე დოლიძე და ნიკოლოზ მაქსიმეს ძე სალუქვაძე, სოფელ ლიხაურის მცხოვრები ირაკლი ილარიონის ძე თოიძე, სოფელ შემოქმედისა—გრიგოლ ნიკოლოზის ძე მამულაშვილი და სოფელ ასკანას მცხოვრები გიორგი ონისიმეს ძე დოლიძე. გაბაშვილსა, თოთიბაძესა, მამულაშვილსა, თოიძესა, თოხაძესა, ცეცხლაძესა და დოლიძეს ის ჰბრალდებათ, რომ 1902 წელს, 31 მაისს, თოფებითა, ხანჯლებითა და რევოლვერებით შეიარაღებული მწუხრის გათავების შემდეგ შეცვივდნენ მარტყოფის მონასტრის ეკლესიაში და ბერებისა და მლოცველთა თვალ წინ მოიტაცეს ეკკლესიიდან ფულად 45 მან., და საეკლესიო ნივთები. შემდეგ მისცვივდნენ იქვე მდგომ ბერს იოსებს და ძალით წაართვეს 30 მან., ხოლო მლოცავთა შორის მყოფ პოდპორუჩიკს ბოგდანოვს—საათი. ორი ეკკლესიის კარებში ჩადგა და ხალხს გარედ არ უშვებდა. დანარჩენი ხალხსა სძარცვავდა. ართმევდნენ ხალხს ფულს და თან თოფებს ისროდნენ. მსუბუქად დასჭრეს პოდპორუჩიკი ბოგდანოვი. მიჰვარდნენ აგრეთვე მონასტრის ხაზინადარს იოსებს და წინამძღვარს გერმანეს და ძალით გაადებინეს საეკკლესიო ყუთი, ამოიღეს იქიდან ფული და ნივთები. სალუქვაძესა და ტერ-ვართანიანცს თუმცა ამ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ შემდეგ, თუმცა ყველაფერი იცოდნენ, მონასტერში მოპარული ნივთები შესანახავად მიიბარეს. სალუქვაძე გარდა ამისა თავის სახლში ჰმალავდა მამულაშვილს.

იმავე დოლიძესა და თოხაძეს ჰბრალდებოდათ აგრეთვე ის, რომ 1902 წელს, 12 მაისს, შეიარაღებულნი დაეცნენ ზედაზნის მონასტერს, ეზოში დასცალეს ბერდანის თოფები, შემდეგ შეუვარდნენ მონასტრის წინამძღვარს იონას, გამოათრიეს ეზოში და ძალით გაადებინეს მონასტრის კარები. შევიდნენ ეკკლესიაში და მოხვეტეს ფული და საეკლესიო ნივთები, შემდეგ დაბრუნდნენ იონას სადგომში, გასტეხეს შკაფი, გამოიღეს ჯვარი გულისა, საათი, ფულად 8 მან. 35 კაპ. და წავიდნენ. დოლიძესა, მამულაშვილსა და თოიძეს ჰბრალდებათ აგრეთვე ისიც, რომ 1902 წელს, 15 მარტს, დაეცნენ ამავე ზედაზნის მონასტრის ეკკლესიას, გამოიტანეს საეკლესიო ნივთები: ბარძიმ-ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი და სხვა, გასტეხეს საფულე ყუთი და წავიდნენ; გაბაშვილს ჰბრალდება ისიც, რომ თუმცა ამ უკანასკნელ ქურდობაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ქურდობის ამბავი იცოდა და მაინც მიიღო შესანახავად ზედაზნის მონასტერში მოპარული ნივთები და ამის შესახებ პოლიციას არაფერი შეატყობინა.

ტფილისის ოლქის სასამართლო ამ საქმეს განიხილავს დეკემბრის პირველ რიცხვებში. დაბარებულია 120-მდე მოწმე.

II

ერთ ბავშს ორი დედა აღმოაჩნდა

6 ოქტომბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საინტერესო საქმე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. საბრალმდებლო ოქმის სიტყვით, 8 წლის წინად მენიკა კარტოზიას ცოლს ძიძად ჰყოლია ელისაბედ ქელიძის ცოლი. როდესაც ელისაბედი 1898 წელს ფეხ-მძიმედ გახდა, კარტოზიას ცოლმა უთხრა, შენ ღარიბი ქალი ხარ, როცა ბავშვი გაგიჩნდება, მე მომეცი და გავზრდიო. მართლაც, 26 ნოემბერს, 1898 წელს ელისაბედს დაებადა ქალი, რომელიც იმ საათშივე წაჰგვარა თურმე მენიკას ბებია-ქალმა სოფიო ოქსენგაუტიმ და ორმა სხვა ქალმა: მარიამ მალაღურიძემ და ოლღა დემეტრაძემ. მენიკა კარტოზიას ცოლიც მოემზადა ამ შემთხვევისთვის და ლოგინში ჩაწვა, ვითომ მეც ვლოგინობო, და მოყვანილი ბავშვი მე მეყოლაო. 29 აპრილს 1900 წელს ეს ბავშვი მენიკამ მონათლა, როგორც თავისი საკუთარი შვილი და სახელად დაარქვა ეკატერინე. მომნათვლელმა მღვდელმა რაჟდენ გიგაურმაც ისე ჩასწერა სამეტრიკო წიგნში, ვითომც ეკატერინა მენიკას შვილი ყოფილიყოს. ნათლიად იყო ილია ჩიქოვანი.

1902 წელს ელისაბედ ქელიძის ცოლმა საჩივარი შეიტანა როგორც პოლიციაში, ისე ოლქის სასამართლოს ბრალმდებელთან, მენიკა კარტოზიას ცოლმა ჩემი შვილი მიითვისა და გთხოვთ—ჩამოართვათო. ამის გამო მენიკა პასუხისგებაში მისცეს სხვისი შვილის მითვისებისათვის და ყალბის მეტრიკის შედგენისთვის. მენიკამ არ იცნო თავი დამნაშავედ და პასუხად განაცხადა, ეკატერინე მე გამიჩნდა 15 აპრილს, 1900 წელს და ჩემი შვილიაო. მართლაც რამდენიმე ქალმა სთქვა, ბავშვი თვით მენიკას ეყოლაო, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბებია-ქალმა ოქსენგაუტმა სთქვა, მე ვიყავ ბებიად, როდესაც ქელიძის ცოლი მორჩა, და იმ დღესვე კარტოზიას ცოლს წავუყვანე ახლად დაბადებული ბავშვიო. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვის სურათი გადაეღოთ ფოტოგრაფიაში 1899 წელს და მაშასადამე 1900 წელს რანაირად დაიბადებოდა. დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი ოპოჩინინი, რომელიც იმას ამტკიცებდა, რომ მენიკას თვითონაც ბევრი შვილი ჰყავს, სხვისი რაღად უნდოდაო. მომჩივანს ქალს ვექილად ჰყავდა ნაფიცი ვექილი თ.-დი ნიჟარაძე, რომელიც თხოულობდა, მენიკას ბავშვი ჩამოერთვას და ნამდვილ დედას ჩაჰბარდესო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო კარტოზიას ცოლი და გადაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ ღირსების ჩამორთმევა და სატუსაღო რაზმში გაგზავნა ერთის წლით. ბავშვი-კი უნდა ჩამოერთვას და ქელიძის ცოლს ჩაჰბარდეს.

III

ქუთ. ს.-აზნ ბანკის მმართველის მელნიკოვის საქმე

ამ რამდენისამე ხნის წინად ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე მელნიკოვი, ტფილისიდან ქუთაისში დაბრუნების დროს, ტფილისის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტთან მივიდა და არაყი მოითხოვა. შემდეგ აიღო არყით სავსე ჰიქა, ბუფეტში მყოფ ქ-ნ ჩხარტიშვილს ჩაუცინა და უთხრა, ეს თქვენი სადღეგრძელო იყოსო. მელნიკოვის ასეთი საქციელი ქ-ნმა ჩხარტიშვილმა შეურაცხყოფად მიიღო, ამიტომ დაუძახა სადგურის უფროსს და ჟანდარმს და ოქმი შეადგენინა. ქ-ნმა ჩხარტიშვილმა საჩივარი აღძრა ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს წინაშე. საქმე განსახილველად დანიშნული იყო 8 ოქტომბრისთვის. სასამართლოში როგორც მომჩივანი, ისე მოწმეებიც გამოცხადდნენ, ხოლო მოპასუხე მელნიკოვისაგან არც ცნობა იყო მიღებული გამოუცხადებლობის მიზეზისა და არც თითონ გამოცხადდა. ამის გამო მომრიგებელმა მოსამართლემ საქმის განხილვა 1 ნოემბრისათვის გადასდო.

IV

13 ოქტომბერს, ზაქათალში მიემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სასამართლოს სესია საქმეების განსახილველად. სესია ზაქათალაში დაჰყოფს 18 ოქტომბრამდე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ოქტომბერი

პეტერბურგი. მეორე რანგის კრეისერი „იზუმრუდი“ ჩაუშვეს ზღვაში.

იურიევეცი. საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ შუია-ლუხ-იურიევეც-გლუხოვოზე რკინის გზა იქმნეს გაყვანილიო. მიიღეს პროექტი ქალაქის ელექტრონით განათებისა და წყლის გაყვანისა, რომელნიც 160 ათასი მანეთი ეღირება.

კოვნო. სიფხიზლის კომიტეტმა გადასწყვიტა, საკონსულტაციო ბიუროს დაარსების გარდა, მოაწყოს სახალხო სახლთან მუშათათვის ხელ-მისაწვდომი საქმით შემწეობის მიწოდების საქმე, სახალხო მგალობელთა გუნდი და საკვირაო სკოლა წერა-კითხვისა.

ეკატერინოსლავი. ერობა აარსებს მოზრდილთათვის ათ ადგილას საღამოს კურსებს.

ვაშინგტონი. დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთის პროტესტს შესახებ იმისა, რომ მუკდენი უცხოელთა ვაჭრობისათვის გახსნილი იყოსო. სახელმწიფო დეპარტამენტი იმას ცდილობს, შეიტყოს, როგორი შეხედულება აქვს რუსეთის მთავრობას იმ პრინციპზე, რომ მანჯურიაში ვაჭრობა ყველას შეეძლოს.

ტოკიო. რუსეთი განუწყვეტლად განაგრძობს კორეას საზღვარზე სამხედრო სამზადისს. იაპონიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საქმეები ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო.

— სამხედრო გემს „ჩოკაი“-ს რომ ნაბრძანები ჰქონდა ნიუ-ჩჟუანში დარჩი ზამთარსო—გააუქმეს.

ლონდონი. მთავრობამ გადასწყვიტა აპრილში დაითხოვოს პარლამენტი.

სოფია. მთავრობამ დაიწყო სათადარიგო ჯარის კაცთა დათხოვნა; ამავე დროს ოსმალეთი თავისის მხრით ითხოვს ორჯელ მეტს ჯარისკაცთა.

ბელგრადი. ვითომ საიდუმლო კომიტეტმა აცნობა პოლკოვნიკ მაშინს: 8 დღის განმავლობაში შენი საქმეები მოაწყე, რადგან ამის შემდეგ მოკლული იქმნებიო.

10 ოქტომბერი

ვორონეჟი. ზემლიანსკის საერობო კრებამ საჭიროდ სცნო პრინციპი წოდებრივი თანასწორობისა.

პორტ-არტური. როგორც ჩინეთის გაზეთებში იუწყებიან, ჩინეთში აზრად აქვთ, დააარსონ საზღვაო საქმეთა სამინისტრო და შეადგინონ საზღვაო კანონთა კოდექსი.

ორიოლი. ღამით 7 ოქტომბერს მალოარხანგელსკში საშინელი ქარი ამოვარდა, რომელმაც შიშის ზარი დასცა მცხოვრებთ, ქართან ერთად შეუწყნარებლად ქუხდა და ელავდა და თან თოვლი და სეტყვა მოდიოდა.

ქრისტიანია. ახალი კაბინეთი შესდგა.

კონსტანტინეპოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა პორტას გადასცეს ნოტა მიურცშტეგში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

პარიჟი. დეპუტატთა პალატაში მთავრობის პოლიტიკის შესახებ შეკითხვაზე კენჭი იყარეს, 332 ხმამ წინააღმდეგ 233-ისა მოიწონა მთავრობის წინადადება მორიგ საქმეებზე გადასვლისა.

სოფია. ოსმალეთის კომისრებმა შეატყობინა მთავრობას, პორტამ უკვე გასცა განკარგულება მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაეტებში მყოფ ჯარის დათხოვნის შესახებო. ამასთანავე ატყობინებს, რომ დუბნიცის და კიუსტენდილის ოლქებში მეამბოხეთა რაზმები იმყოფებიან და ამბოხებას განაგრძობენ. მთავრობის წრეები ჰფიქრობენ, ოსმალეთი ასე იმ აზრით მოიქცა, რომ უფრო დიდხანს გააჩეროს თავისი ჯარი საზღვრების ახლოსო. ცნობა მოვიდა, ჯუმაისა და რაზლოგის შუა შეტაკება მოსვლიათ მეამბოხეთა და ოსმალებს.

სოფია. ოფიციალური „ნოვი ვეკ“-ი აქვეყნებს ატამანის კომისარის ცნობებს, ვითომ სოფიის გაზეთებში გამოცხადებული ამბები ოსმალეთის ჯარის მხეცურ მოქმედების შესახებ ტყუილი არისო. გაზეთი საშინლად ჰკიცხავს ამგვარ ცნობებისათვის, რადგან ოფიცრებსა, სამოქალაქო მოხელეთა და ჯარის კაცთა მიმართ მისჯილი სასჯელი ცხადად დაადგენენ ამ ფაქტის სინამდვილესაო.

სტამბოლი. ოთხი ბელგიის ოფიცერი მოწვეული მაკედონიაში ჟანდარმერიის რეორგანიზაციისათვის მოვიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელი საზოგადოება იწვევს იმათ, ვინც ამ საზოგადოებას მიაწვდის: კომბოსტოს—8000 ფუთს, კარტოფილს — 2500 ფუთს, ფქვილს—1400 ფ., ადგილობრივ ყველს—400 ფ., ლობიოს—500 ფ. განცხადება უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა. მიხეილის პროსპ. ს. ალელოვისა, № 162. (3—163—2)

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წ. კ. საზოგადოებისა“, № 62

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტით და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით.

ფასი სამი აბაზი. 50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზე და თითო ცალი ღირს ერთ მანეთად. წიგნში XXXX 361 გვ. (უ. 3—1)

იაფ-ფასიანი

ქართული სამკითხველოები

„ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისა“

პირველი—იმყოფება თავად-აზნაურობის ქარვასლაში №32

მეორე—ვერაზედ ოლგას ქუჩაზედ, № 19

სამკითხველო ღია არის ყოველ დღე დილით 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. კვირა-უქმე დღით მხოლოდ 11—1 საათამდე. სამკითხველოში მოიპოვება გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალები. (უ. 3—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში 1 ნოემბრიდან ქირავდება

4 ოთახიანი ბინა.

პირობები იკითხეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში. (უ. 3—3)

კრემ ამიკოს (CRÉME AMYKOS)

ჰიგიენური საშუალება პირის კანისათვის

იხმარება პირის კანის გასაწმენდად მუწუკებისაგან, მეჭეჭისაგან და სხვ. უმთავრესად გამოსადეგია არტისტებისთვის გრიმის მოხპობის შემდეგ სახმარებლად, რადგან კარგად ასუფთავებს პირისახეს გრიმისაგან.

ფასი ერთის ბანკისა 1 მ. 25 კ.; 2 ბანკის ფასი გაგზავნით 3 მან., უნდა გამოიწეროთ პირდაპირ გამომგონისაგან: სავაჭრო სახლი, პარფიუმერიის ლაბორატორია ი. გოლლენდერ, პეტერბურგი, რაზიეზჟაია, № 13 (4—6.—3)

Октября 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва).